საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,
ბატონ დავით უსუფაშვილს

ს.ს.ი.პ. „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის, დავით მაღრაძის
პირადი ნომერი: 01024026541
მცხოვრები: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. 42, კორპ. I, ბინა 33
ტელეფონი: (599) 50 34 10, (577) 25 81 72

საკანონმდებლო წინადადება

ბატონო დავით,

2015 წლის 20 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ და შეიტანა ცვლილებები რიგ კოდექსებსა და კანონებში. აღნიშნული ცვლილებებით გაუქმდა პირის ქმედუუნაროდ აღიარება სულით ავადმყოფობისა და ჭკუასუსტობის გამო და ნაცვლად ამისა, ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევისა და სოციალური ადაპტაციის ხარისხის მიხედვით პირს მიენიჭება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის სტატუსი და განისაზღვრება მისი მხარდაჭერის თავისებურებები.

ყოველივე ზემოაღნიშნული უდავოდ ამკვიდრებს მეტად ლიბერალურ მიდგომებს ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა უფლებების სფეროში, თუმცა როგორც სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დარგის სპეციალისტს, მიმაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა და ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ კანონის რიგი მუხლები საჭიროებს დახვეწას, რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი წინააღმდეგობები საექსპერტო საქმიანობის მხრივ, სასამართლო საქმის წარმოება წარიმართოს მეტად ოპტიმიზებულად და სახელმწიფოს მხრიდან თავიდან იქნას აცილებული დამატებითი გაუმართლებელი ხარჯები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას (დანართი ორი ფურცლად), კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება გულისხმობს იმას, რომ ექსპერტებმა გასცენ დასკვნა მხოლოდ თავისი კომპეტენციის ფარგლებში და სასამართლოს ჰქონდეს უფლება თვითონ განსაზღვროს, თუ ვისი მონაწილეობაა აუცილებელი სხდომაზე და რა ფორმით.

პატივისცემით,

დავით მაღრაძე

03 აგვისტო 2015 წელი

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
სააღ. № 16301
04.08.2015 წ. ფურც. 3

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[18] მუხლის 1-ლი პუნქტიდან ამოღებული უნდა იქნას სიტყვები – *„ამ პირის და“*; პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: *„პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ საქმეს სასამართლო განიხილავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით“.*

განმარტება – *შემთხვევათა უდიდეს უმრავლესობაში პირის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში შეუძლებელია მისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტში ნახსენები კომუნიკაციის ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენება, რიგ შემთხვევებში კატეგორიულად მიუღებელია პირის ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე (მაგ. სხვადასხვა შინაარსის ბოდვის არსებობისას მსგავსი საშუალებების გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს პირის ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესება, მათ შორის აგრესიული ქცევის სახით);* ამდენად აღნიშნული პირის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[18] მუხლის მე-2 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: *„თუ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს სასამართლო განხილვაში იმ პირის მონაწილეობას, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება და მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაესწროს სასამართლო სხდომას, მისი მონაწილეობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კომუნიკაციის ელექტრონული ან სხვა საშუალების გამოყენებით, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამ პირთან მოსამართლის პირდაპირი კონტაქტი. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა სასამართლო სხდომის ვიდეოფაილის სახით ჩაწერა. სასამართლო სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს სხდომაში პირის კომუნიკაციის ელექტრონული ან სხვა საშუალების გამოყენებით მონაწილეობის შესახებ“*; ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებული უნდა იქნას.

განმარტება – *პირის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის საკითხი უნდა შეაფასოს სასამართლომ, მათ შორის 1-ლი პუნქტის განმარტებაში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით.*

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[20] მუხლის მე-4 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: *„საჭიროების შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე შეიძლება დაიკითხოს (მათ შორის კომუნიკაციის ელექტრონული ან სხვა საშუალების გამოყენებით) ყველა ექსპერტი და მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრი, რომელთა დასკვნებიც საქმის მასალებშია წარმოდგენილი“.*

განმარტება – *პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხის განხილვისას ექსპერტთა სასამართლო სხდომაზე დაბარება არ წარმოადგენს აუცილებლობას; აღნიშნული სავალდებულო ნორმის არსებობა გაართულებს სასამართლო საქმისწარმოებას და გამოიწვევს დამატებით გაუმართლებელ ხარჯებს სასამართლოებისთვის და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის (ექსპერტთა სამივლინებო და სატრანსპორტო ხარჯები და ა.შ.).*

ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თ. ქვეპუნქტი ამოღებული უნდა იქნას; მის ნაცვლად მუხლს უნდა დაემატოს

მე-3 პუნქტი შემდეგი შინაარსით: *„თუ ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდება, რომ აუცილებელია პირის მხარდაჭერა სხვა სფეროში, გარდა სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულისა, მულტიდისციპლინური ჯგუფი უფლებამოსილია აღნიშნული მიუთითოს დასკვნაში“.*

განმარტება – *მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრები არ არიან იურისტები და შესაბამისად ვერ განსაზღვრავენ ყველა სფეროს რომელშიც პირმა შესაძლოა რაიმე მოქმედება მოახდინოს, ხოლო მომავალში პირის რაიმე მოქმედების სადაოდ გახდის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ექსპერტების პასუხისმგებლობის საკითხი, მათ მიერ გაცემულ დასკვნაში აღნიშნული სფეროს არმითითების გამო; როგორც აღნიშნული ცვლილების ალტერნატივა, შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსში მკაცრად გაიწეროს ყველა ის სფერო, რომელშიც პირს შეიძლება დაენიშნოს მხარდაჭერა.*

ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: *„ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზა ტარდება სასამართლოს მიერ მიმართვიდან 30 სამუშაო დღის ვადაში.*

განმარტება – *კანონის თანახმად, თუ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე შეუძლებელია მისი ბიუროში მოყვანა, ექსპერტიზა ტარდება გამოსაკვლევი პირის ფაქტიური ადგილსამყოფელის მიხედვით; საქართველოს რეგიონების მრავალ სოფელში, ზამთრის პერიოდში ხანგრძლივად იკეტება გზა, რაც შეუძლებელს ხდის მსგავს შემთხვევებში ექსპერტიზის დროულ ჩატარებას და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ერთ თვიანი ვადა ქმნის სერიოზულ პრობლემებს სამუშაო პროცესში.*

ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ კანონის მე-13 მუხლს უნდა დაემატოს მე-10 პუნქტი შემდეგი შინაარსით: *„თუ სასამართლოს განჩინებაში დასმული იქნება კითხვები, რომლებიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, რომელიც გააჩნია მულტიდისციპლინური ჯგუფის ცალკეული წევრს, აღნიშნული საკითხები კენჭისყრაზე არ დგება და ექსპერტი მათ პასუხობს ჯგუფისგან დამოუკიდებლად“.*

განმარტება – *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[15] მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილია სფეროები რომლებშიც პირს შეიძლება დაენიშნოს მხარდაჭერა: შრომითი საქმიანობა, წვრილმანი გარიგების დადება, სამეწარმეო საქმიანობა, უძრავი ქონების მართვა/განკარგვა, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვა, მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება და სხვა უფლებები და მოვალეობების განხორციელება; აღნიშნული საკითხები მიეკუთვნება მხოლოდ ფსიქიატრის კომპეტენციას; ამავე დროს სასამართლომ შესაძლოა დასვას საკითხები, რომლებიც მოხვდება მულტიდისციპლინური ჯგუფის სხვა სპეციალობის მქონე წევრების კომპეტენციაში; არაკომპეტენტური პირების მხრიდან ამათუიმ საკითხზე მსჯელობა ეწინააღმდეგება როგორც ექსპერტიზის, ასევე საექიმო და სამართლებრივ პრინციპებს; ჩვენთვის უცნობია პრეცენდენტი, რომ ექსპერტს კანონმდებლობით ევალებოდეს მისი პროფესიული კომპეტენციის მიღმა არსებულ საკითხებზე მსჯელობა და დასკვნის გაცემა.*